



ΑΑΑΘΙ' Ο
ΑΑΓΑΕΕΑΘΑΑΕΘ
ΘΟΙ' ΑΘΑΓΑ

ΘΑΘΑΘΕΑΑΕΙ' Ο
ΘΑΘΕΑΓΑΓΘΕ



**საქართველოს პარლამენტში Xerox-ის ციფრული საწარმოო სისტემა "ნუვერა"
დამონტაჟდა**

*"Xerox ნუვერა"-ს საშუალებით პარლამენტში საქმის წარმოების ეფექტიანობა და
საიმედოობა მნიშვნელოვნად გაიზრდება*

თბილისი, 20 ივნისი 2006 წ. - საქართველოს პარლამენტში დამონტაჟდა და ფუნქციონირება დაიწყო ამერიკული კომპანია Xerox-ის ციფრულმა საწარმოო საბეჭდმა სისტემამ "ნუვერა", რომლის ანალოგი საქართველოში არ არსებობს. ეს არის პირველი პრეცედენტი, როდესაც Xerox-ის აღნიშნული დიზაინის და შესაძლებლობების მქონე დანადგარი დამონტაჟდა ევრაზიის ტერიტორიაზე, მათ შორის, რუსეთის ფედერაციის, რუმინეთის, უკრაინის, ბელორუსიის, ბულგარეთის, ბალტიისპირეთის ქვეყნების, ბალკანეთის ნახევარკუნძულის, აზიისა და კავკასიის ქვეყნებში. დღეს, 20 ივნისს, გაიმართა აღნიშნული სისტემის პრეზენტაცია.

"Xerox ნუვერა" პარლამენტისათვის შეიძინა გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტმა "საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის საქმიანობის ეფექტიანობისა და ტრანსპარენტობის გაუმჯობესება", კანონპროექტების და უკვე მიღებული კანონების სწრაფი და შეუფერხებელი ბეჭდვისა და გავრცელების, საქმისწარმოებისა და დოკუმენტმოდრაობის პროცესების რაციონალიზებისათვის, აგრეთვე პარლამენტში სხვა შიდა ბიზნეს-პროცესების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით. "Xerox ნუვერა" ჩართულია პარლამენტის ახალ ლოკალურ კომპიუტერულ ქსელში, რაც, UNDP-ის პროექტის სხვა ინიციატივებთან ერთად, პარლამენტის წევრებსა და აპარატის მოხელეებს საშუალებას მისცემს უშუალოდ თავიანთი სამუშაო ადგილიდან აწარმოონ კანონპროექტების, კანონების ან სხვა სახის დოკუმენტაციის ბეჭდვა, გამრავლება და აკინძვა.

"Xerox ნუვერა" წარმოადგენს მრავალფუნქციურ ციფრულ საწარმოო საბეჭდ სისტემას, რომელსაც შეუძლია შეასრულოს შემდეგი ოპერაციები: ასლების გადაღება, სკანირება, ბეჭდვა, ბეჭდვისშემდგომი დამუშავება, აკინძვა, ყდაში ჩასმა, პერფორაცია, დაწყობა, გადაკერება და თერმოაკინძვა მომხმარებლის მოთხოვნის მიხედვითა და შესაბამისი კონფიგურაციით. სისტემას შეუძლია გამოუშვას მზა პროდუქცია ბუკლეტების ან ბროშურების სახით. განსაკუთრებული მოქნილობა, მაღალი მწარმოებლურობა, გამოსახულების შესანიშნავი ხარისხი, ეტალონური საიმედოობა – ეს ის მახასიათებლებია, რომლებიც "Xerox ნუვერა"-ს გამოარჩევს სხვა ტიპის ანალოგიური სისტემებისგან.

"Xerox ნუვერა"-ს ყველა კომპონენტი უზრუნველყოფს მის მაღალ მწარმოებლურობას მთელი პროცესის განმავლობაში, დაწყებული ქაღალდის მდგრადი მიწოდებით და მძლავრი პრინტერით, დამთავრებული ბეჭდვისშემდგომი დამუშავების მსუბუქი ადაპტირებული მოდულით. სისტემას შეუძლია დაბეჭდოს 120 A4 ფორმატის გვერდი წუთში. სისტემას ახასიათებს ცვლადი მოდულები, კონფიგურაციის შეცვლის უნარი მუშა პროცესის ყველა ეტაპზე, ბეჭდვა ნებისმიერი დანართისგან, ნებისმიერი ბეჭდვითი სამუშაოს შესრულება.

"Xerox ნუვერა"-ს განსაკუთრებულ მწარმოებლობას განსაზღვრავს პროგრამული უზრუნველყოფა DocuSP, რომელიც მართავს აღნიშნულ სისტემას, აგრეთვე Xerox-ის სხვა საწარმოო მოწყობილობების მთელი პარკი, რომლითაც იგი არის აღჭურვილი.

აღსანიშნავია, რომ სისტემა მარტივი სამართავია და მას ემსახურება ერთი ოპერატორი; სისტემის შესაძლებლობის მაქსიმალურად ათვისების მიზნით, პარლამენტის ოთხ თანამშრომელს სპეციალიზებული ტრენინგები ჩაუტარეს Xerox-ის სპეციალისტებმა, რათა მათ უპრობლემოდ შეძლონ სისტემის მართვა 24 საათის განმავლობაში.

-XXX-

Xerox-ი ციფრული პროდუქციის მწარმოებელი მოწინავე კომპანიაა, რომელიც აწარმოებს თითქმის ყველა სახის ტექნიკას, როგორც ყოველდღიური პირადი მოხმარებისათვის, ასევე მაღალ ტექნოლოგიურ დანადგარებს გრაფიკული საქმიანობისათვის. Xerox-ის ციფრული პროდუქციის გამოყენებით, მსოფლიო მასშტაბით, მნიშვნელოვნად იზრდება მცირე ოფისებისა თუ გლობალური კორპორაციების საქმიანობის ეფექტიანობისა და მომგებიანობის ხარისხი.

დღესდღეობით, Xerox-ის ფილიალები განთავსებულია მსოფლიოს 130-ზე მეტ ქვეყანაში, სადაც 200-მდე დასახელების ციფრული პროდუქტი იწარმოება. ევრაზიის კონტინენტზე Xerox-ი 2004 წლიდან მუშაობს და მოიცავს 22 ქვეყანას, მათ შორის რუსეთს, დსთ-ს სხვა ქვეყნებს, ბალტიის პირეთის ქვეყნებს და აზიის, კავკასიისა და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებს. Xerox-ის სათაო ოფისი ევრაზიის კონტინენტზე მდებარეობს მოსკოვში. სხვა რეგიონული ოფისები განთავსებულია ალმა-ათაში, ბუქარესტში, ეკატერინებურგში, კიევში, მინსკში, ნოვოსიბირსკში, რიგაში, როსტოვში, სანკტ-პეტერბურგში, სოფიაში, ტაშკენტში, ტიუმენსა და ვლადივასტოკში. თითოეული რეგიონული ოფისი მომხმარებელს სთავაზობს Xerox-ის სრული მომსახურების პაკეტს. ევრაზიის კონტინენტზე Xerox-ის პარტნიორთა ქსელი მოიცავს 1,000-ზე მეტ მსხვილ პარტნიორსა და გადამყიდველს. კომპანიის პროდუქციის გაყიდვის შემდგომი მომსახურების სისტემა მოიცავს 500-ზე მეტ სერვის ცენტრს. კომპანიის და მის მიერ წარმოებული პროდუქციის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ ეწვიოთ შემდეგ ვებ-გვერდებს: www.xerox.ru და www.xerox.com



საერთაშორისო
 განვითარების
 პროგრამა

საქართველოს
 პარლამენტი



Xerox Nuvera Digital Production System Has Been Installed at the Parliament of Georgia

Xerox Nuvera will help to make document management at Georgian Parliament more effective and reliable

Tbilisi, June 20, 2006 - First time in Georgia, Xerox Nuvera Digital Production System was installed at the Parliament of Georgia. The system works smoothly in network and offline modes. This is the first time the newly designed machine was installed at the Xerox Eurasia territory including Russian Federation, Romania, Ukraine, Belarus, Bulgaria, Baltic States, Balkan's and also Asia and Caucasus. It has a unique configuration and consists of base machine, scanning module, newly designed operational system and multi-functional finisher with booklet making functions. The start of this project is only the first step of introducing Xerox innovations at the Georgian governmental organizations to drastically upgrade Georgian Parliament's productivity, especially in terms of document management/flow modernization. The system was officially presented to public today, 20 June.

Xerox Nuvera Production System has been purchased by the UNDP Project "Strengthening Effectiveness and Transparency of the Parliament and Government of Georgia" for the purpose of ensuring fast and convenient printing and dissemination of draft laws and already adopted laws as well as rationalizing document management and document flow procedures and enhancing internal business processes at the Parliament. Being connected to the Local Area Network of the Parliament, Xerox Nuvera Digital Production System, together with other innovations implemented by UNDP project, will enable the MPs and staff of the Parliament to print,scan,copy,sort and staple draft-laws, laws and other documents with booklet making functions directly from their workstations.

"Xerox Nuvera" is a multi-functional digital production system which is capable of copying, scanning, printing and processing documents on the form of booklet making, perfect binding, punching, stacking, stapling/stacking and thermal binding depending on configuration based on customers requirements. Unmatched flexibility, exceptional productivity, outstanding image quality and superior reliability make "Xerox Nuvera" a unique system, which stands out among other similar production systems.

Each component of the Xerox Nuvera Production System assures high productivity beginning from robust paper feeding and ending with powerful printing and document processing capabilities. The system can print 120 A4 single-sided pages per minute. Xerox Nuvera is a unique digital production solution through flexibility enabled by various modules. Its configurability extends through every workflow, across every print environment, and into every job.

The Nuvera Digital Production System assures exceptional productivity due in large part to the DocuSP software that powers it and a fleet of other Xerox production devices.

In addition, Nuvera Digital Production System is simple to run and a single person can operate it. To consume highest possible system output capabilities four staff members of the Parliament have been trained by Xerox specialists to operate this particular system for 24 hours running mode possibilities.

XEROX is a leading manufacturer of the whole range of digital printing equipment ranging from devices for personal users to high-tech machines for Graphic Arts industry. XEROX offers solutions aimed at increasing business effectiveness and profitability to customers all over the world – from small offices to global corporations.

Today XEROX operates in more than 130 countries of the world manufacturing over 200 product items. Business division Xerox Eurasia, operating since 2004, covers 22 countries, including Russia, other CIS countries, Baltic, Asian, Caucasus and East European nations. Xerox Eurasia headquarter is located in Moscow, other regional representative offices are in Almaty, Bucharest, Ekaterinburg, Kiev, Minsk, Novosibirsk, Riga, Rostov-on-Don, Saint-Petersburg, Sofia, Tashkent, Tyumen and Vladivostok. Each of the Company's regional representative offices is capable of providing complete range of activities for selling and service maintenance of XEROX equipment. Xerox Eurasia partners' network includes over 1,000 major partners and resellers. The Company's after-sale service system comprises more than 500 service centers. Additional information on the Company, its products and activities is available at www.xerox.ru and www.xerox.com